საქართველოს საოჯახო მედიცინის
პროფესიონალთა კავშირი
თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. N 57
ტელ: + 995 322 95 98 66
ელ.ფოსტა: nfmtc@nilc.org.ge

GEORGIA FAMILY MEDICINE
ASSOCIATION
57 M.Tsinamdzghvrishvili str. Tbilisi, Georgia
Tel.: + 995 322 95 98 66
e-mail: nfmtc@nilc.org.ge

№1-25/25 **16/10/2023**

რეკომენდაცია/დასკვნა უწყვეტი სამედიცინო განათლების ონლაინ-მოდულზე: „არტერიული ჰიპერტენზიის მართვა პირველადი ჯანდაცვის დონეზე“

ონლაინ სასწავლო მოდული „არტერიული ჰიპერტენზიის მართვა პირველადი ჯანდაცვის დონეზე“ მომზადდა ხარისხის საკონსულტაციო ჯგუფის მიერ ჩეხეთის კარიტასის პროექტის ფარგლებში “პირველადი ჯანდაცვის გაძლიერების ხელშეწყობა საქართველოში“.

სასწავლო მოდული შემუშავებულია უახლესი საერთაშორისო სახელმძღვანელოებისა და ეროვნული განახლებული პროტოკოლების საფუძველზე, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პირველად ჯანდაცვაში არტერიული ჰიპერტენზიის მართვის ხარისხის გაუმჯობესებას.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია ათწლეულების განმავლობაში არტერიულ ჰიპერტენზიას განიხილავს, როგორც გულ-სისხლძარღვთა სისტემის ავადობისა და სიკვდილობის ძირითად, წამყვან რისკ-ფაქტორს. საქართველოში, სადაც ძალზე მაღალია არტერიული ჰიპერტენზიის გავრცელება და დაბალია ადეკვატურ მკურნალობაზე მყოფი და კონტროლირებული წნევის მქონე პაციენტთა ხვედრითი წილი, ჰიპერტენზიის მართვის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია.

აღსანიშნავია სასწავლო კურსის სტრუქტურა, ასევე სწავლების ფორმატი, რაც მეტად ხელმისაწვდომს ხდის მას სამედიცინო პროფესიონალებისთვის და უზრუნველყოფს დიდი რაოდენობით მედპერსონალის გადამზადების შესაძლებლობას.

სასწავლო კურსში დეტალურად არის განხილული ჰიპერტენზიის სკრინინგის, დიაგნოსტიკის, საწყისი შეფასების, მკურნალობისა და რეგულარული მეთვალყურეობის საკითხები. ასევე, აღსანიშნავია, რომ კურსი მოიცავ ისეთ საკითხებსაც, როგორიცაა ჰიპერტენზიული გადაუდებელი მდგომარეობების მართვა და ჰოსპიტალიზაციის შემდგომ გამოწერილ პაციენტებზე მეთვალყურეობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ კურსის ჩატარება განსაკუთრებით აქტუალურია მომავალი პირველადი ჯანდაცვის რეფორმის ჭრილში, სადაც არტერიული ჰიპერტენზიის მართვა შედის იმ პრიორიტეტული დაავადებების ჩამონათვალში, რომელთა მართვის ხარისხზე მიბმული იქნება გარკვეული სამოტივაციო მექანიზმები. შესაბამისად, მეცნიერულად დასაბუთებული, უახლესი ინფორმაციის გაცნობა პირველადი ჯანდაცვის

პროფესიონალებისთვის ხელს შეუწყობს მათი ცოდნის, უნარ-ჩვევების და მიდგომების გაუმჯობესებას, რაც თავის მხრივ, პირდაპირ აისახება ჰიპერტენზიის მართვის ხარისხზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირი დადებითად აფასებს წარმოდგენილ ონლაინ სასწავლო მოდულს „არტერიული ჰიპერტენზიის მართვა პირველად ჯანდაცვაში“ და რეკომენდაციას უწევს ექიმთა პროფესიული განვითარების საბჭოს წინაშე.

პატივისცემით,

ირინა ქაროსანიძე

საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა
კავშირის პრეზიდენტი